

ტყუილის ვერბალური და არავერბალური გამოვლინება
4 წლის ასაკის ბავშვებში

ხატია ნიქაბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან მაყაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ნიქაბაძე 06. 07. 2015”

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ექსპერიმენტული კვლევის ანგარიში განიხილავს ბავშვის მოტყუების უნარს ოთხი წლის ასაკში. კვლევის შერჩევითი დაკვირვების მეთოდით ჩატარდა. კვლევის სუბიექტები კერძო და საჯარო ბაღიდან შეირჩა. კვლევაში მონაწილეობდა 30 ოთხი წლის ბავშვი, 14 გოგო და 16 ბიჭი. ექსპერიმენტატორის მიერ ფარულად აწყობილ სათამაშოსთან ბავშვი მარტო რჩება ოთახში ხუთი წუთის განმავლობაში. ინსტრუქციის მიხედვით მან სათამაშოს არ უნდა შეხედოს ექსპერიმენტატორის დაბრუნებამდე. თუ ბავშვი ხუთი წუთის განმავლობაში შეხედავს სათამაშოს, ექსპერიმენტატორი მაშინვე შედის ოთახში და რამდენიმე წამის შემდეგ ეკითხება: შეხედე სათამაშოს? ბავშვის ვერბალური პასუხები და არავერბალური ქცევები ვიდეო ფირზე აღიბეჭდება.

30 ბავშვიდან უკან მიტრიალდა და სათამაშოს შეხედა 23 ბავშვმა. ექვსმა ბავშვმა არ შეხედა სათამაშოს. ერთმა ბავშვმა უკან გაიხედა, მაგრამ მისი მზერის მიმართულება არ ყოფილა სათამაშოსკენ, ამიტომ, ინსტრუქციის პირდაპირ დარღვევად არ ითვლება. იმ ბავშვებიდან, რომლებმაც შეხედეს სათამაშოს, სიმართლე აღიარა 18 % - მა, მოიტყუა 82 % - მა. ექსპერიმენტატორის ინსტრუქციის შესრულებასა და ვერბალურ პასუხებში გენდერული განსხვავება დაფიქსირდა. ცდუნებას გაუძლო და სათამაშოს არ შეხედა გოგოების 67 % - მა და ბიჭების 33 % - მა. ცდუნებას ვერ გაუძლო და სათამაშოს შეხედა გოგოების 39 % - მა და ბიჭების 61 % - მა. სიმართლე აღიარა გოგოების 75 % - მა და ბიჭების 25 % - მა.

არავერბალური ქცევებიდან ხშირად განმეორებადი მოქმედებები იყო თვალის არიდება, თავის გაქნევა უარის ნიშნად და ხელის პირთან მიტანა.